პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 74 (18916) ოთხშაბათი, 28 მარტი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს
სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს
ამხანაგ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს

ჩვენ, საკავშირო ეკონომიკური თათბირის მონაწილეებმა, განვიხილეთ ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის შემდგომი განვითარების, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლის გადამწყვეტ ეტაპზე მისი ეფექტიანობის ამაღლების აქტუალური პრობლემები. საბჭოთა ხალხი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებით შრომობს პარტიის XXVI ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ახალ წარმატებებს აღწევს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა მიმართულებით. ჩვენი ქვეყანა გულდაჯერებით მიაბიჯებს კომუნისტური აღმშენებლობისა და მშვიდობის გზით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის თებერვლის პლენუმმა, რომელმაც დაადასტურა პარტიის ლენინური პოლიტიკური კურსის მემკვიდრეობითობა, კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი შეაიარაღა ჩვენი საზოგადოების შემდგომი განვითარების მკაფიო და ნათელი პროგრამით.

უდიდესი პოლიტიკური და დამრაზმველი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს სიტყვებს ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე და ამომრჩეველთა წინაშე. ერთსულოვნად ვიწონებთ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის შედეგებს მტკიცედ ვებრძოლებით პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის.

[...]

აგროსამრეწველო კომპლექსის პრობლემებისადმი მიძღვნილი საკავშირო ეკონომიკური თათბირის მონაწილენი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს
დავამკვიდროთ მიღწეული, დავსახოთ პერსპექტივა

[...]

ინტენსიური განვითარების კურსით

[...]

თათბირზე გაიმართა აზრთა ფართო გაზიარება დაგეგმვის სრულყოფის, შრომის ნაყოფიერების გა-

სურათზე: თათბირის მონაწილენი (მარცხნიდან) — კალინინის სახელობის კოლმეურნეობის (ბოლნისის ხსრ) მთავარი ეკონომისტი თ. ი. პანკრატოვა, საბჭოთა მეურნეობა „ლისუხსკის" (ხონელის ხსრ) მექანიზატორი გ. ა. არზუმანიანი, ანგარის მეხაიეთის საბჭოთა მეურნეობის (საქართველოს ხსრ) მეღორეული მ. გ. მეუნარგია და კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის (გორკის ოლქი) თავმჯდომარე მ. ა. ტრუშნიკოვი.

საქინფორმის ფოტო.

გზას დაგილოცავთ, მოხალისეებო!

[...]

(საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ოთხმოცი წლის გარდაიცვალა თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რევაზ გრიგოლის ძე ნათაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის რ. გ. ნათაძის დამკრძალავი კომისია ამხ. ვ. მ. ოკუჯავას თავმჯდომარეობით.

რ. გ. ნათაძის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ბინეგბის ხარისხი: მაღალი მოთხოვნელობის პოზიციით

რესპუბლიკის მშენებელთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

[illegible]

სოციალური მნიშვნელობის პროგრამა

[illegible]

პროექტიდან ობიექტამდე

[illegible]

ხარისხს — მუშური გარანტია

[illegible]

დიდი მოუთმენლობით

უცხოეთში

ფაქტები, მოვლენები, საკითხის ვითარება

რევაზ ნათაძე

● კუბა

ღირსშესანიშნავი წლისთავი

ჰავანა. ჰავანის კარლ მარქსის სახელობის თეატრში გაიმართა სოციალისტური კუბის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების შექმნის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფიდელ კასტრო.

კრებაზე გამოვიდა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დივიზიის გენერალი ხოსე აბრანტესი. მან აღნიშნა, რომ მთელი ამ წლების მანძილზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მეომრები თავდადებით იბრძოდნენ რესპუბლიკის მტრების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ მოესპოთ მისი რევოლუციური მონაპოვრები. სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს თავის უმაღლეს მოვალეობად მიაჩნიათ ემსახურონ სამშობლოსა და პარტიას.

წარმოადგენენ რა რევოლუციის [illegible]

ინტელიგენცია განიარაღებისათვის ბრძოლაში

დამთავრდა „ასთა მოწოდების" ინიციატივით გამართული ფორუმი

პარიზი. აქ დამთავრდა მშვიდობისა და განიარაღებისათვის მებრძოლი ინტელიგენციის საერთაშორისო შეხვედრა. ეს ფორუმი მოეწყო საფრანგეთის მშვიდობის მომხრეთა ერთ-ერთი უდიდესი ორგანიზაციის „ასთა მოწოდების" ინიციატივით. მასში მონაწილეობდნენ მსოფლიოს 40 ქვეყნის დაახლოებით 300 თვალსაჩინო მეცნიერი, მწერალი, მხატვარი, მსახიობი, სხვადასხვა შემოქმედებითი, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათ შორის საბჭოთა კავშირის დელეგაცია სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ ნ. ნ. ბლოხინის მეთაურობით.

შეხვედრაზე გაიმართა დისკუსიები ისეთ თემებზე, როგორიცაა „ახალგაზრდობის აღზრდა მშვიდობის სულისკვეთებით", „განიარაღების სამართლებრივი ასპექტები", „ხელოვნების მოღვაწეთა როლი მშვიდობისათვის ბრძოლაში", „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ბრძოლა გამოლენილი შეიარაღების წინააღმდეგ". განიხილეს აგრეთვე სხვადასხვა საკითხები, რომლებიც ეხება მშვიდობისმოყვარე ძალების მოძრაობაში მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა როლის [illegible]

თანამშრომლობის ნაცვლად კონფრონტაცია

ი. განდის ინტერვიუ ამერიკულ გაზეთისათვის

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„კომუნისტს" უპასუხებენ

ავჭალის ასარ განათლების სამინისტრო, სოფლის სამეურნეო სამინისტრო

ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში

მამაცობა ყოველდღე

ფოტოინფორმაცია

გდრ ლაიფციგის ბაზრობაზე

● ვაიანა

გარდაიცვალა ამჟამ სამ ტურა

პოლიციური ქრონიკა

ამხილეს ჯაშუშთა ქსელი

საერთაშორისო შენიშვნები

ვაშინგტონის სიტყვა და საქმე

ჟურნალების ახალი ნომრები

„პარტიული სიტყვა" № 5

„საქართველოს ბუნება" № 3

ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი

შუქი სიყვარულისა

ეს სათაური იმ კაცსვე დავესესხე, ვისზეც ამ წერილს ვწერ. ასეთი სათაური აქვს მისი მოთხრობის ერთ-ერთ კრებულს, ხოლო მთელი მისი შემოქმედება სიყვარულის სინათლით არის გამთბარი და ამეტყველებული. მაგრამ ვიდრე ამ შემოქმედზე ვიტყოდე რამდენიმე სიტყვას, მკითხველს ერთი ამბავი უნდა ვუამბო.

ეს კაცი — გამოჩენილი სომეხი მწერალი და თბილისის სახელოვანი მოქალაქე ბენიკ სეირანიანი შარშანდელი აპრილის ერთ პარასკევ დღეს სამსახურში დამადგა თავზე. ოთახში შემოვიდა, გულის სითბო და ღიმილი შემოიტანა, გამარჯობაო, თქვა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— შენ თუ იცი, რომ ხვალისათვის აბოვიანში დაგვიბარა საიათნოვამ?

ცოტა არ იყოს, სახტად დავრჩი. როგორ თუ საიათნოვამ დაგვიბარა-მეთქი?

— სომხეთის ეს ახალგაზრდა ქალაქი ხვალ პირველად აღნიშნავს საიათნოვას დღეს. ჰოდა, ჩვენი დიდი თბილისელი ხვალ აბოვიანში დაგვხვდება.

ბენიკ სეირანიანი ტყუილუბრალოდ კაცს არ შეაწუხებს, მაგრამ თუ რამეს გეტყვის, ისე გეტყვის, უარს ვეღ ჰკადრებ.

ორი საათის შემდეგ „ჟიგულით" გავედით თბილისიდან.

სევანის სამხრეთით გასულებმა, აბოვიანს გვერდით რომ ჩავუარეთ, იმ დღეს დასაბადებელი ლექსის პირველი სტრიქონები შემიტოკდა გულში:

ბენიკ სეირანიანმა —
შვილიანმა და ჭანიანმა
სომეხმა ძმამ, თბილისელმა,
არ მაფიქრა წამითაცა,
ხელი მტაცა, დამატყვევა
და სომხეთში გამიტაცა.
მზის ნათელი ენთო თვალში,
თმაში — ნუშის ყვავილი
თოვდა:
— წამო, ძმაო, აბოვიანში
დაგვიბარა საიათნოვამ!

შებინდებისას ჩავედით ერევანში. ის ღამე იქ უნდა გაგვეთენებინა და დილით აბოვიანში ავსულიყავით.

ჩემთან ერთად ჩამოსულმა თბილისელმა სომეხმა მწერლებმა ღამის გათევა თავიანთ ერევნელ ნათესავებთან გადაწყვიტეს. მეც შემომთავაზეს, ჩვენთან წამოდიო, მაგრამ სასტუმროში ყოფნა ვარჩიე.

და როცა სასტუმრო „ანის" მორიგემ ანკეტა მომცა შესავსებად, მხოლოდ მაშინ გამახსენდა, რომ პასპორტი თან არ მქონდა. მხრები უხმოდ ავიჩეჩე და ბენიკ სეირანიანს საწყალობლად გადავხედე. ჩემი უფროსი მეგობარი უმალ მიუხვდა გასაჭირს და კოსტიუმის გარეთა ჯიბეში შეუმჩნევლად ჩამიდო თავისი პასპორტი.

ბენიკ სეირანიანის სახელზე შევსებულ ანკეტასთან ერთად, მორიგეს მისი პასპორტიც გადავაწოდე. მან ანკეტაში სტუმრის გვარი და სახელი რომ წაიკითხა, პასპორტი არც გადაუშლია, უკან გამომიწოდა, მუქიანი თვალებით ამომხედა, ტელეფონზე რაღაც ნომერი აკრიფა და ყურმილში ხმადაბლა ჩასძახა:

— მესამე სართულის მორიგე ხარ? თქვენთან გამოჩენილი მწერალი ბენიკ სეირანიანი დაბინავდება და ყურადღება არ მოაკლოთ!

კიდევ კარგი, მორიგე მას მარტო ნაწარმოებებითა და სახელით იცნობდა, და არა სახით.

და მე — ერთი ღამით ბენიკ სეირანიანი — მეორე დილას, მეგობრებთან ერთად აბოვიანში გავემგზავრე.

სასტუმროში კი იმ ღამეს გამახსენდა სეირანიანის ერთი ავტობიოგრაფიული ნოველა „იასონი". გამახსენდა და თვალწინ დამიდგა ამ ნაწარმოების მთავარი გმირი, „მხარბეჭიანი, წარმოსადეგი ვაჟკაცი, ციცაბო კლდესავით ამართული... იგი მუდამ მოწყენილია, ჩაფიქრებული, პირქუში, მაგრამ ნიადაგ მზიანი დღეების იმედით გულსავსე — „არაფერია, ბოლო კეთილი იქნება". მწერალი ხელმოდლიანი ფერმწერის ფუნჯით ხატავს იასონის კოლორიტულ სახეს, მის ვაჟკაცურ სულს და კეთილშობილურ ხასიათს.

ეს უბრალო ქართველი მუშაკაცი მწერლის მამის მეგობარი გახლდათ. სწორედ ის დაეხმარა სომხეთის დღევანდელი ოქტომბერიანის რაიონის მცხოვრებ სეირანიანებს, რომ შიმშილსა და გაჭირვებას გაქცეოდნენ და თბილისში დაბინავებულიყვნენ. ეს ამბავი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მოხდა. ნოველის ფინალში კითხულობთ: „ოჰ, როგორ მინდა, ამ ახალი წლის დილას, ჩემი ნოველის წაკითხვის შემდეგ, ჩემს ზღურბლზე გამოჩნდეს მასავით წარმოსადეგი, მასავით დიდსულოვანი ვინმე ჭაბუკი და მითხრას:

— გილოცავ ახალ წელს, ბიძაჩემო!

მე კი შევაგებო:

— მადლობელი ვარ, შვილო, მეც გილოცავ! მაგრამ ვინა ხარ შენ?

და მე პასუხად გავიგონო:

— მე იასონის შვილიშვილი ვარ".

სომხური მხატვრული სიტყვის გამოჩენილ ოსტატს იასონისთანა ვაჟკაცების შვილები და შვილიშვილები მხარში ედგნენ მაშინაც, როცა ჯერ კიდევ ბავშვმა პირველად ჩაისუნთქა თბილისის ჰაერი, მაშინაც, როცა აქ, თბილისში, დაამთავრა პედაგოგიური ტექნიკუმი, მხარში ედგნენ მას მთელი ცხოვრების გზაზე, რომელიც კვლავ ასე ლამაზად გრძელდება ქართული ცის ქვეშ, გამშობლიურებულ მტკვრის სანაპიროზე.

სომხეთის მთებში დაბადებული ჭაბუკი თბილისში დაიბადა მწერლად, ჟურნალისტად, საზოგადო მოღვაწედ, მგზნებარე ინტერნაციონალისტად. 1930 წელს თბილისში დაიბეჭდა მისი პირველი ნაწარმოები; 1933 წელს თბილისში დაიწყო ჟურნალისტური მოღვაწეობა, ორმოცდამეთერთმეტე წელიწადია, მუშაობს გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის" რედაქციაში, სადაც ამჟამად მეცნიერებისა და კულტურის განყოფილებას განაგებს; ის აქ, თბილისში, 1942 წელს შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში, იმავე წელს გახდა საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი და უკვე რამდენიმე ათეული წელია სათავეში უდგას საქართველოს მწერალთა კავშირის სომეხ მწერალთა სექციას, რომლის წევრებიც თავიანთ ღირსეულ სიტყვას ამბობენ თანამედროვე სომხური და საერთოდ საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში.

ბენიკ სეირანიანმა მკითხველის თაროს თავისი მინიატიურების, ნოველების, მოთხრობების, რომანების ოცზე მეტი წიგნი შემატა. ეს არის საბჭოთა ხალხის ცხოვრების, მისი ბრძოლისა და შრომის მხატვრული მატიანე, რომელშიც კოლორიტულად აისახა მწერლის თანამედროვეობის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა — პირველი ხუთწლედებიც და საკოლმეურნეო ცხოვრების მშენებლობაც, დიდი სამამულო ომიც და ომისშემდგომი აღმშენებლობაც. როგორც ცნობილი სომეხი ლიტერატურათმცოდნე არტაშეს მხითარიანი შენიშნავს, ბენიკ სეირანიანის შემოქმედების ძირითადი პათოსია თანამედროვე ცხოვრების, თანამედროვე ადამიანის სულიერი სამყაროს კვლევა, ეპოქის ძირითადი ნიშნების გამოხატვა, დროის სულიერი პორტრეტის შექმნა, საიდანაც გამორიცხულია ფაქტოგრაფიული აღწერილობა. მწერალი თამამად იჭრება ადამიანთა ცხოვრების ზნეობრივ სფეროში, განსაკუთრებით განაზოგადებს ყოველივე დადებითსა და წასახალისებელს და ამავე დროს დაუნდობელია ნეგატიური მოვლენების, მდაბალი სულისა და მრუდი გულის ადამიანთა მხილების დროს. მისი კალამი ამ დროს მკვეთრად სატირული და ბასრია და თვალი — გაალმასებული.

ბენიკ სეირანიანის მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედების მთავარი გმირები არიან ვაჟკაცური სულის მქონე პრინციპული ადამიანები, რომლებიც ცხოვრების აზრსა და სილამაზეს შრომაში, ბრძოლაში, ქვეყნისა და ერთმანეთის სიყვარულში ხედავენ და ახალი ადამიანისათვის, ახალი ცხოვრებისათვის იბრძვიან. ესენი არიან სოფლის მშრომელები თუ ქალაქის მუშები, მეომრები თუ ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც მკითხველის გულში რჩებიან და მას შრომასა და ცხოვრებაში ეხმარებიან. ერთი სიტყვით, ბ. სეირანიანის ნაწარმოებები დასახლებულია შრომის ადამიანებით, ამაღლებული სულისა და საქმის ადამიანებით.

ბ. სეირანიანის შემოქმედების ერთ-ერთი ძლიერი ნაკადი ხალხთა მეგობრობას ეძღვნება. ყოველგვარი მჟღერალა ფრაზებისა და ჟღარუნა სიტყვების გარეშე მწერალი მთელი გულით განგვაცდევინებს იმ დიდ სასიცოცხლო სიკეთეს, რომელიც ხალხთა ნამდვილ და უტყუარ მეგობრობას მოაქვს ადამიანებისათვის. მწერლის შემოქმედებაში განსაკუთრებით თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი ქართველთა და სომეხთა მრავალსაუკუნოვან ძმურ მეგობრობას. ნათელი და წრფელია მწერლის სიყვარული საქართველოსადმი, ქართველი ხალხისადმი, მისი კულტურისა და ისტორიისადმი. იგი ამ სიყვარულს მკვეთრად გამოხატავს როგორც მწერალი (გავიხსენოთ „ანთია კოლხიდის ჩირაღდნები", „შეხვედრა სიმღერასთან", „იასონი", ქართველი მწერლების ლიტერატურული პორტრეტები, პუბლიცისტური წერილები) და როგორც საზოგადო მოღვაწე. საქართველოსა და სომხეთში არ გამართულა ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობისა და მეგობრობისადმი მიძღვნილი არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომ მისი თაოსანი და აქტიური მონაწილე ბენიკ სეირანიანი არ იყოს. და ამ დროს უნდა განახოთ ტრიბუნასთან მდგარი მწერალი — შთაგონებული მქადაგებელი, რომლის სიტყვა საოცრად ცეცხლოვანი და დამაჯერებელია. მისი მოსმენის დროს თქვენდაუნებურად თვალწინ წარმოგიდგებათ სახე ოვანეს თუმანიანისა — ქართველთა და სომეხთა ძმობის უკვდავი რაინდისა, და ტრიბუნასთან მდგარ ორატორს მის ღირსეულ მემკვიდრედ მიიჩნევთ. დიახ, ბენიკ სეირანიანი ჩვენი ძმობის დღევანდელი დღეების კეთილშობილი რაინდია და ამ ძმობის მარადისობის და ულამაზესი შენობის კედლებზე თავისი შუქიან და ჯანმრთელ აგურებს აწყობს. აქვე არ შეიძლება ისიც არ ითქვას, რომ თბილისის თითქმის ყველა სომხურ სკოლაში ბ. სეირანიანის თაოსნობით ყოველ წელს იმართება ქართველ და სომეხ მწერალთა შეხვედრები მოსწავლეებთან და პედაგოგებთან, და ამ შეხვედრების ძირითადი თემა ჩვენი ორი ხალხის მეგობრობაა.

ბენიკ სეირანიანი ავტორია აგრეთვე ნარკვევებისა, კრიტიკული სტატიებისა და პიესებისა, რომლებიც წარმატებით დაიდგა თბილისის ს. შაუმიანის სახელობის სომხური თეატრისა და მოზარდ მაყურებელთა ქართული და რუსული თეატრების სცენებზე. იგი ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობასაც ეწევა. მწერლის ნაწარმოებები თარგმნილია ქართულ, რუსულ, აზერბაიჯანულ და სხვა ენებზე. მისი წიგნები იბეჭდება თბილისში, ერევანში, მოსკოვში.

ამ წერილის წერის დროს სამუშაო მაგიდაზე ბენიკ სეირანიანის ნოველებისა და მინიატიურების ერთი კრებული მიდევს. „შეხვედრა სიმღერასთან" ჰქვია რამდენიმე წლის წინათ ქართულ ენაზე გამოცემულ ამ კრებულს. მასში დაბეჭდილ ყოველ მინიატიურას ლამაზ პოეტურ ნაწარმოებად — ლექსად აღვიქვამ. ერთი მათგანი — „საღამოს ჟამი" სულ ათიოდე აბზაცია. და რა სასწაულებრივი ძალით არის დახატული მოხუცი დედის სახე! კარგა ხანია ომი დამთავრდა. დედას სამამულო ბრძოლების დროს დაღუპული მფრინავი შვილი აღარ დაუბრუნდა. ფიდიერთი შვილის დედა ყოველ საღამოს ხეობისკენ პირმიქცეულ კლდის ქიმზე ჩამოჯდება და ცას შეჰყურებს, თურმე „ყოველ საღამოს, ერთსა და იმავე დროს, მთის ხეობის თავზე ცის ლაჟვარდი უნდა გაეხია და გრიალით გაევლო სარეისო თვითმფრინავს". ამ საოცრად გულისშემძვრელი დეტალით მწერალმა ქრუანტელის მომგვრელად გვაგრძნობინა დედის მწუხარება, რომელიც ალბათ მოხუცის სიკვდილის შემდეგაც განაგრძობს სიცოცხლეს ამ ქვეყანაზე.

ასეთი ჯადოსნური კალამი აქვს ბენიკს. ასეთი მგრძნობიარე და დიდი გული აქვს ბენიკს. და მან ამ დღეებში თავისი სიცოცხლის 70 წლის ზღურბლზე გადმოაბიჯა. და ისე ცინცხლად, ისე კალმხვავრიელად გადმოაბიჯა, რომ კაცს გიჭირს დაიჯერო, რომ იგი სამოცდაათისაა. უშრეტი სიყვარულით მფეთქავი გული და უანგარო, დაუღალავი მარჯვენა თურმე ადამიანს ბოლომდე უნარჩუნებს ახალგაზრდულ შემართებას. დიახ, კალენდარმა აღნიშნოს მისი წლოვანება, ხოლო ჩვენ წრფელი სიყვარულით მივულოცოთ ჟამი სიბრძნისა, ჟამი სიკეთის ხვავიანი მოსავლის აღებისა, ჟამი ახალი ხვნა-თესვის დადგომისა.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი.

გზადაგზა, ერთი თვალის გადავლებით

მატარებლის სარკმლიდან დანახული

ამ უკანასკნელ ხანს ტყიბულში ბევრი რამ გაკეთდა მისი იერსახის გალამაზებისათვის, მაგრამ გაკეთებულის გვერდით მოსაგვარებელიც ბევრია, რაც გულს ტკენს და აღელვებს მასპინძელსაც და სტუმარსაც.

რკინიგზის სამგზავრო სადგურის შენობა ურიგო როდია, მაგრამ მისი სახურავიდან წყალი ჩამოდის, კედლებს ბათქაში სცვივა. შენობას თითქმის ყოველ წელს არემონტებენ, მაგრამ რა, სამუშაოები უხარისხოდ სრულდება და თანაც დიდხანს უდგებიან. წვიმის წყალს მშენებლები ვერაფერს უხერხებენ. საქმე დიდად მოიგებს, თუ სადგურის შენობას მთლიანად გადახურავენ თუნუქით.

სადგურის ტერიტორიაზე ასფალტი ამოჩიჩქნილია, ორმოებში გუბეები დგას. აქვეა სკვერი, რომელსაც 1905 წელს მეფის ჯარის ნაწილებთან მუშათა შეიარაღებული შეტაკების ადგილზე ობელისკი ამშვენებს, მაგრამ სკვერის მოვლა მოუვლელ-მონაგრეულია, საყრდენი ბოძი ამოთხრილი. სკვერის ტერიტორია დანაგვიანებულია, კავშირგაბმულობის მუშაკებს ნარჩენი კაბელი პირდაპირ ობელისკთან მიუტოვებიათ.

სადგურის მახლობლად ქალაქის მთავარი ავტომაგისტრალი გადის, აქვეა ავტობუსის გაჩერება, მაგრამ წვიმის დროს მგზავრს თავშესაფარი არსად აქვს. დიდ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს აქ მგზავრთა მოსაცდელის აგება. ურიგო არ იქნებოდა, სადგურის ტერიტორიაზე გამოიყოს ტაქსების დასადგომი, მატარებლების შემოსვლის საათებში მაინც. ყველა ტაქსი ქალაქის ცენტრში არსებულ სადგომზე დგას, მგზავრების მოლოდინში მძღოლები თვლემენ ან დომინოს თამაშობენ, აქ კი მატარებლიდან ჩამოსული მგზავრი საათობით ამაოდ უცდის გამვლელ ავტომანქანას.

სადგურის ვრცელ ტერიტორიაზე განლაგებულია რკინიგზელთა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, ატელიე, მუშათა სასადილო, სასაუზმე, საპარიკმახერო, წითელი კუთხე, სასურსათო მაღაზიები და სხვა. ერთი სიტყვით, არქიტექტურული ანსამბლი თითქოს ურიგო არ არის, მაგრამ ახლოს მიხვალ, და თვალებს აღარ უჯერებ — ნაგებობათა გარშემო ყველაფერი არეულ-დარეულია. ეზოებს, ტერიტორიას არავინ უვლის, არავინ გვის. გამოფხიზლება ანტისანიტარიას ხელს უწყობს საავტომობილო გზატკეცილის ვაკისიდან მონადენი ტალახიანი წყალი, რომელიც პირდაპირ სადგურის ბაქანზე მოედინება. ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის ეზოში საერთო სარგებლობის წყლის ონკანი დგას, საიდანაც წყალი იღვრება და, ვინაიდან არ არის საკანალიზაციო ქსელში ჩართული, ირგვლივ არემარეს აჭაობებს. სავალალო მდგომარეობაშია ბაქანზე არსებული საერთო სარგებლობის საპირფარეშოს შენობა. მის სახურავზე წყლის ავზი დგას, რომლიდანაც წყალი ღვარად გადმოედინება. წყლის დანაკარგებზე რომ არაფერი ვთქვათ, ბაქანს და ლიანდაგებს აზიანებს. ახლა სასაუზმეს მოვაქციოთ ყურადღება. გარედან მას მეტად უბადრუკი ფასადი აქვს. თითქმის ყველა მინა გამსხვრეულია. სასაუზმეს უკან უამრავი ტარა-მასალა აწყვია: მოპირკეთებული ბაქნის დასავლეთით, ლიანდაგის გასწვრივ მდებარე ტერიტორია მობინადრეებს მიუტაცებიათ და იქ საქათმეები და სალორეები გაუშენებიათ, სისუფთავის დაცვისათვის კი თავს არ იწუხებენ.

რკინიგზის ლიანდაგზედაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე უწესრიგობას აწყდებით, ტერიტორია ავსებულია ვაგონის ურიკებით, გამონაცვლილი პლასტმასის სამუხრუჭე ნაწილებით, ქანჩ-ჭანჭიკებით, გაფუჭებული რელსებით, ფიცრების ნატეხებით, ქაღალდის ნაგლეჯებით, ტვირთის გადმოსაცლელი ბაქანიც დანაგვიანებულია. ბარგის შესანახი საწყობი შესაკეთებელია, წელიწადზე მეტია, რაც მის კედლებს ბათქაში ჩამოსცვივდა.

სადგურის ტერიტორიას აუშნოებს რაიკოოპკავშირის გამგეობის ყოფილი საწყობის ნანგრევები. კაცი პატრონი არ არის, რომ ნაგავი გაიტანოს და მიდამო გაასუფთაოს. ნეტავ როდემდე უნდა ითმინონ რკინიგზელებმა ასეთი უწესრიგობა? კარგი იქნება, თუ სალიანდაგო დისტანციის ჯიხურებს შეაკეთებენ და შეღებავენ. რკინიგზის გადასასვლელთან მდებარე ჯიხური ცუდად არ გამოიყურება, მაგრამ აქ ონკანიდან წყალი იღვრება და მიდამოს აჭაობებს. სპეციალიზებული ბაქნის კარგა მოზრდილ ტერიტორიას ვიღაც მოქალაქე დაეუფლებია და ლითონის მავთულბადით შემოუღობავს. სწორედ ისეა, უპატრონო კვლისას ემსგავსება.

მატარებლის სარკმლიდან მგზავრის ყურადღებას იპყრობს ნაგვის გორები, რა საშენი მასალის ნარჩენი გინდათ, აქ რომ არ ეყაროს: ლორღი, ქვიშა, აგურისა და რკინაბეტონის კონსტრუქციათა ნამსხვრევები, ლითონის ნარჩენები, შლაკი და სხვა. საქმე ის არის, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ტვირთის მიმღები ორგანიზაციები ვაგონებს არ ასუფთავებენ. რკინიგზელებს რა თქმა უნდა, შეუძლიათ შეამოწმონ ყველა ვაგონი და ტვირთის მიმღებს დაუბრუნონ გასაწმენდად, მაგრამ რკინიგზის წესდების ეს მოთხოვნა არ სრულდება. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს პუნქტი მეტად პრიმიტიულია და სრულებით ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. მთელი ნარეცხი წყალი პირდაპირ მდინარეში ჩაედინება და აჭუჭყიანებს მას.

რკინიგზის სატვირთო სადგურიდან სამგზავრო სადგურამდე მთელი გზა დანაგვიანებულია, სარკინიგზო ნაგებობებს აკლია მზრუნველი ხელი. რკინიგზის ლიანდაგის სიახლოვეს მოსახლეობას საქათმეები და გარაჟები აქვთ აშენებული, რაც სილამაზეს უკარგავს მაგისტრალს. გარდა ამისა, შეზღუდულია ლოკომოტივის მემანქანის მხედველობის არე. მდინარე საბელასურზე აგებული რკინიგზის ხიდი ნაგვის ურიად უქცევიათ კომკავშირის ქუჩის მცხოვრებს. მთელ ხაზზე დაზიანებულია შუქნიშნების ანძები და ნიშნულები.

წყალდიდობამ შარშან ქალაქის ბევრი კომუნიკაცია დაანგრია, სტიქიამ არც რკინიგზის ნაგებობანი დატოვა დაუზიანებელი. სამგზავრო სადგურის მისასვლელში დაინგრა ბეტონის არხი. ნაგებობა დროებით შეაკეთეს და ამით დაკმაყოფილდნენ. წყალდიდობის შემთხვევაში აქ მოსალოდნელია მატარებლების მოძრაობის შეფერხება. ხელმძღვანელებმა ეს უნდა გაითვალისწინონ, დროულად განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი.

ჩამოსულ სტუმრებს პირველ შთაბეჭდილებას უქმნის რკინიგზის სამგზავრო სადგური. მის წინა ფასადს წარწერაც კი არა აქვს. ოთხ წელზე მეტია აქ კეთილმოწყობის სამუშაოებს აწარმოებს რკინიგზის სამტრედიის განყოფილების შენობა-ნაგებობათა დისტანციის კოლექტივი, მაგრამ დამთავრებას ბოლო არ უჩანს. ამ ნაკლოვანებებზე მშენებლობის შესახებ შარშან სექტემბერში გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა, მაგრამ მშენებლები მაინც არ გამოჩნდნენ. მოზიდული საშენი მასალების დიდი ნაწილი განიავდა, მაგრამ გამკეთებელი არავინ არის. მართალია, ზამთრის სეზონის დაწყების წინ მშენებლებმა სადგურის შენობაში გათბობის ქსელი აღადგინეს, მაგრამ გადათხრილ ორმოებს და დაზიანებულ ქვაფენილს ხელი არ ახლეს. ნეტავ, რას ელოდებიან მშენებლები მათ მიერ დაზიანებულ კომუნიკაციებს სხვა ვინმე ხომ არ აღადგენს?

ნათქვამია თვალი სვამს და თვალი ჭამსო. ამიტომ ულამაზობა, რომელიც მატარებლის სარკმლიდან თვალს ხვდება, ნებისმიერ კაცს, გუნება-განწყობილებას უფუჭებს. რკინიგზელებმა დაუყოვნებლივ უნდა გამოასწორონ მდგომარეობა, სიტყვას ცოცხალი საქმე მოაყოლონ.

რეიდის მონაწილენი: ნ. ბუზაშვილი — სახალხო კონტროლის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების გამგე, ა. მიქლაძე — სანებიდსადგურის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე, სანიტარიული ექიმი, ჯ. ქარსაძე — ბუნების დაცვის ტყიბულის ზონალური ინსპექტორი, ვ. ცირეკიძე — „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

ქართული ჩაის კვირეული

ქართული ჩაის ტრადიციული კვირეული წლეულს 26 მარტს დაიწყო და 1 აპრილამდე გასტანს.

კვირეულის დღეებში ყველგან — კაფე-რესტორნებსა თუ სასადილოებში, საგანგებოდ მორთულ დარბაზებში გაიმართება ფართო ასორტიმენტის ჩაისა და საკონდიტრო ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა. გამოცდილი ტექნოლოგ-ტიტესტერები მსურველებს გააცნობენ ჩაის დაყენების ტექნოლოგიას, ესაუბრებიან მის სამკურნალო თვისებებზე, ჩაის მაგიდის გაწყობაზე.

ამ დღეებში მოეწყობა შეხვედრები მოწინავე მეჩაიეებთან, ჩაის მრეწველობის მუშაკებთან. კვირეულის დამაგვირგვინებელ დღეს კი ჩაის სახლსა და სხვა რესტორნებში მოიწვევენ შრომისა და სამამულო ომის ვეტერანებს, მწერლებს, მსახიობებს, ხელოვნების მუშაკებს, სპორტსმენებს, გაიმართება საქმიანი საუბრები, ვიქტორინა-შეჯიბრებები, კონცერტები.

„კომუნისტის" კორ.

სურათებზე: კვირეულის დღეებში; ეს ჩაი, ბატონო, მეზობელი მაგიდიდან მოგართვეს.

სოსო დარჩიაშვილის ნახატი.

სიგელები ნორჩ მხატვრებს

ამბროლაური. (საკ. კორ.). „ნორჩ მხატვართა სამჭედლო" — ასე უწოდებენ ქალაქის განაპირას მდებარე პატარა ორსართულიან შენობას, რომლის მეორე სართულზე ოთხკლასიან სამხატვრო სკოლას უდევს ბინა. აქ 35 მოსწავლე ეუფლება ფერწერის, გრაფიკის, ლითონმქანდაკებლობის, ძერწვის და გამოყენებითი ხელოვნების საფუძვლებს.

საგამოფენო ოთახებში წარმოდგენილია ნორჩ მხატვართა ნამუშევრები. ყურადღებას იმსახურებს მოსწავლე ა. ბაკურაძის ჭედურობა — „დეკორატიული მოტივი", აგრეთვე ხ. ტაბუცაძისა და ლ. კერესელიძის ნამუშევრები. სამივე ნორჩმა მხატვარმა რესპუბლიკურ გამოფენაზე საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სიგელები დაიმსახურა.

[illegible]

ვლადიმერ აფციაური — გამარჯვებულთა შორის

უკრაინის დედაქალაქში გაიმართა მოფარიკავეთა „კიევის რაპირად" წოდებული საერთაშორისო შეჯიბრება, რომელიც მიეძღვნა ოლიმპიური ჩემპიონის ვლადიმერ სმირნოვის ხსოვნას. გუნდურ ასპარეზობაში საბჭოთა მოფარიკავეებმა ვლადიმერ ლაპიცკიმ, ბორის კორეცკიმ, ვლადიმერ აფციაურმა და ალექსი შევცოვმა ყველას აჯობეს. ისინი მთავარ პრიზს დაეუფლნენ. მეორე ადგილზე გავიდა სსრ კავშირის მეორე გუნდი, მესამეზე — გდრ-ის მოფარიკავეები.

პირად ჩათვლაში [illegible] მეორე ადგილზე გავიდა პეტრუ კუკი (რუმინეთი), მესამეზე — ბოგუსლავ ზიხი (პოლონეთი).

მატჩი ჰანოვერში

დღეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ჰანოვერში გაიმართება ამ ქვეყნისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა.

ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელმა ე. მალოფეევმა ამ მატჩისათვის 19 ფეხბურთელი შეარჩია: მეკარეები—ვიაჩ. ჩანოვი (მოსკოვის „ტორპედო") და ვ. ელინსკასი („ჟალგირისი"); მცველები—ვ. შიშკინი, ვ. იანუშევსკი (ორივე—მინსკის „დინამო"), ვ. კასპარავიჩიუსი („ჟალგირისი"), ვ. ქუზიკოვი (მოსკოვის „ტორპედო"), ბ. პოზდნიაკოვი („სპარტაკი"), ნ. პავლოვი („დნეპრი"), შუა და თავდასხმის ხაზების მოთამაშენი —ს. გოცმანოვი, ი. გურინოვიჩი, ა. ზიგმანტოვიჩი, ს. ალეინიკოვი, ი. პუდიშევი (ხუთივე — მინსკის „დინამო"), ა. ბოროდიუკი (მოსკოვის „დინამო"), გ. ლიტოვჩენკო, ო. პროტასოვი (ორივე — „დნეპრი"), ა. ვოროშილოვი (როსტოვის ასკ), ფ. ჩერენკოვი („სპარტაკი"), ს. სტუკაშოვი („ყაირათი").

გფრ-ის ნაკრების მწვრთნელმა ი. დერვალმა გამოაცხადა საორიენტაციო შემადგენლობა: შუმახერი, როლფი, კ.-ხ. ფიორსტერი, ხერგეტი, ბირგელი, მატეუსი, შუსტერი, მაიერი, მილევსკი, ფიოლერი, კ.-ხ. რუმენიგე.

ფიდეს სამდივნოს ცნობით

ფიდეს (მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფედერაცია) სამდივნო იუწყება, რომ ყველა მომავალი მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ტურნირებში დიდოსტატების ჯგუფს პერსონალურად დაუშვებენ. ამისათვის მათ მაღალი მონაცემები უნდა ჰქონდეთ ბოლო ოთხ „რეიტინგ ლისტში" (ძალთა შედარებითი ნუსხა), რომელიც წელიწადში ორჯერ ქვეყნდება ხოლმე.

ამასთან ერთად ფიდემ გამოაქვეყნა მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე ვაჟების სია ბოლო სამი რეიტინგის გათვალისწინებით. აი როგორ გამოიყურება იგი: 1. მსოფლიო ჩემპიონი ა. კარპოვი (საბჭოთა კავშირი) — 2706, 2. გ. კასპაროვი (საბჭოთა კავშირი) — 2696, 3. ლ. ლუბოევიჩი (იუგოსლავია) — 2641, 4. უ. ანდერსონი (შვეცია) — 2635, 5. რ. ჰიუბნერი (გფრ) — 2621, 6-7. ლ. პოლუგაევსკი და მ. ტალი (ორივე — საბჭოთა კავშირი) — 2620-2620, 8-9. ლ. პორტიში (უნგრეთი) და ვ. კორჩნოი (შვეიცარია) — 2615-2615, 10-11. ი. ტიმანი (ჰოლანდია) და ზ. რიბლი (უნგრეთი) — 2606-2606, 12. ბ. სპასკი (საბჭოთა კავშირი) — 2603, 13. რ. ვაგანიანი (საბჭოთა კავშირი) — 2600, 14. ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) — 2598, 15. ვ. სმისლოვი (საბჭოთა კავშირი) — 2596, 16. ჯ. მაილსი (ინგლისი)— 2593, 17. ტ. პეტროსიანი (საბჭოთა კავშირი) — 2588, 18. ჯ. ნანი (ინგლისი) — 2586, 19. ო. რომანიშინი (საბჭოთა კავშირი)— 2580, 20. ი. სეირავანი (აშშ) — 2576 და ა. შ.

მსოფლიო ჩემპიონის მონაწილეობით

12-20 აპრილს ოსლოში (ნორვეგია) გაიმართება საერთაშორისო ტურნირი მსოფლიო ჩემპიონის ანატოლი კარპოვის მონაწილეობით. აქ ბრძოლაში ჩაებმებიან დიდოსტატები მაკარიჩევი (საბჭოთა კავშირი), ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), ჰიუბნერი (გფრ), ადორიანი (უნგრეთი) და მაილსი (ინგლისი). დანარჩენ 4 ადგილს დაეთმობა ნორვეგიის უძლიერეს ოსტატებს.

ამ შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მსოფლიო ჩემპიონი კარპოვი ითამაშებს ლონდონის დიდ საერთაშორისო ტურნირში, სადაც თანამედროვეობის ბევრი წამყვანი დიდოსტატის მონაწილეობაა მოსალოდნელი.

მოკლედ

შაში. გუშინ მოსკოვში გათამაშდა ჰარმ ვირსმასა (ჰოლანდია) და ვადიმ ვირნის (სსრ კავშირი) მსოფლიო პირველობაზე მატჩის მეორე პარტია, რომელიც ყაიმით დამთავრდა. ანგარიშია 4,5:3,5 ვირსმას სასარგებლოდ.

გაზეთ „კომუნისტის" შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 30 მარტს.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

კონკურსი

საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს მწერალთა კავშირი აცხადებენ ეკოლოგიურ თემაზე შექმნილ მხატვრულ და დრამატურგიულ ნაწარმოებთა კონკურსს დევიზით: „ტყე რომ იმღერებს, მთა რომ იმღერებს, ეს სიმღერაა საქართველოსი!".

როგორც მოგეხსენებათ, ბუნების დაცვის პრობლემები, გარემოს დაცვა გაჭუჭყიანებისაგან, ბუნებრივი რესურსების გეგმაზომიერი, რაციონალური გამოყენება, ადამიანის გარემომცველი გარემოს, მისი სასიცოცხლო პირობების დაცვა და გაჯანსაღება დღევანდელობის უპირველესი პრობლემაა და, ამდენად, გარემოს დაცვა და გაჯანსაღება ჩვენი პლანეტის მომავალს, მის ხვალინდელ დღეს, სიცოცხლისუნარიანობას განაპირობებს.

საკონკურსოდ წარმოდგენილი მასალების ძირითადი მიზანიც ეს უნდა იყოს. მასში უნდა აისახოს საბჭოთა ადამიანების პატრიოტული, კომუნისტური დამოკიდებულება დედაბუნებისადმი, სწრაფვა მისი დაცვისადმი, მისი რესურსების გონივრული, რაციონალური გამოყენებისადმი; იგი მოწოდებული უნდა იყოს ჩაუნერგოს ყოველ მოქალაქეს, ყოველ ბავშვს დედაბუნებისადმი პატივისცემა, სიყვარული, გაუღვივოს მის მიმართ ფაქიზი გრძნობები, ასწავლოს იმ დიდი წიგნის კითხვა, რომელსაც ბუნება ჰქვია.

ნაწარმოები უნდა წარმოადგინოთ დევიზით, იმავე დევიზით დახურულ კონვერტში მითითებული უნდა იყოს ავტორის ვინაობა, სპეციალობა და ზუსტი მისამართი.

მასალების წარმოდგენის ვადა 1984 წლის 15 აპრილამდეა.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრემიები:

პროზა

ერთი პირველი პრემია — 1 000 მანეთი;
ერთი მეორე პრემია — 750 მანეთი;
ერთი მესამე პრემია — 500 მანეთი;
ერთი წახალისებელი პრემია — 200 მანეთი;

პოეზია

ერთი პირველი პრემია — 750 მანეთი;
ერთი მეორე პრემია — 500 მანეთი;
ერთი მესამე პრემია — 250 მანეთი;
ერთი წახალისებელი პრემია — 100 მანეთი;

დრამატურგიული ნაწარმოებები

ერთი პირველი პრემია — 1 000 მანეთი;
ერთი მეორე პრემია — 750 მანეთი;
ერთი მესამე პრემია — 500 მანეთი;
ერთი წახალისებელი პრემია — 200 მანეთი;

ჩვენი მისამართია: 380082, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი, 85. საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი, „კონკურსისათვის". ტელ: 22-21-94; 22-47-92;

საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი; საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის გამგეობა.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-63-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-14, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 202-94-92; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-86; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-08-15; ფოთი — 3-58-69; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-36, თელავი — 12-09; წითელწყარო — 33-60; ტყიბული — 25-52.

მოსკოვი

28 მარტი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — მოგზაურთა კლუბი. 10.35 — საბავშვო მუსიკის საერთაშორისო კვირეულის გამო. 11.05 — მხატვრული ტელეფილმი „გრძელი გზა დიუნებში". მე-5 სერია. 12.15 — ს. პროკოფიევი — „სიმფონია № 3". 12.50 — დოკუმენტური ფილმი „გრილობის დელეგატი დიმიტრი ულიანოვი". 13.20 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — ხუთწლედი თითოეულის საქმეა. დოკუმენტური ფილმები. 16.40 — კონცერტი. კომპოზიტორ ე. რახმანინოვის ნაწარმოებები. 17.25 — ახალი ამბები. 17.30 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 18.15 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 18.45 — სტადიონი ყველასათვის. 19.15 — „ბავშვებს — ცხოველებზე". 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მხიარულ ტალღაზე. 20.15 — „თანამედროვე მსოფლიო და მუშათა მოძრაობა". 20.45 — მხატვრული ტელეფილმი „გრძელი გზა დიუნებში". მე-6 სერია. 22.00 — „ვრემია". 22.35 — „ხალხური სიმღერის საღამო". 23.05 — დღეს მსოფლიოში. 23.20 — ფეხბურთი. გფრ-ის ნაკრები — სსრ კავშირის ნაკრები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — დოკუმენტური ფილმი. 9.30 — მხატვრული ფილმი „ჩემი მსახიობი ქალი". 11.05 მულტფილმი. 11.25 — დოკუმენტური ტელეფილმი ა. ი. რუკოვსკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. 12.25 — გერმანული ენა. 12.55 — ბავშვ-რეთის ტელევიზიის პროგრამა. 14.00 — ფილმი — ბავშვებს. „მოხუცი ოსტატის ანდერძი". მეორე სერია. 15.05 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — ჩვენი ბაღი. 19.45—ხელბურთი. ვაჟები. მინსკის ასკ — ცსკა. 20.15—რ. შტრაუსი — სიმფონიური პოემა „ტილ ულენშპიგელი". 20.30 — ჰოკეი. „კრილია სოვეტოვ" — „სპარტაკი". მე-2 და მე-3 პერიოდები. შესვენებისას (21.05) — „ძილი ნებისა, პატარებო!". 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ტელეფილმი „იუველირული საქმე". 00.05 — ახალი ამბები.

ჩვენს ტელეეკრანებზე

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.30 — „მოამბე". 10.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გადაწყვეტილებას გთავაზობთ". 10.35 — მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგების გამო — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ციცქარა" — ქართული მხატვრული ფილმი „დიდოსტატის მარჯვენა". I სერია. 11.55 — მულტიპლიკაციური ფილმი „ფათუნია რამეიმე". 12.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გზა რეაქტორისაკენ". 12.45 — ქართული დოკუმენტური ფილმი „სიმღერის დაბადება". 13.30 — მათემატიკის ტელეკურსი (სტუდიაში — გ. გორგოძე). 14.00 — ახალი ამბები. 14.15 — შევისწავლოთ ქართული ენა (სტუდიაში — ე. ბაბუნაშვილი). 14.45 — ქართული მხატვრული ფილმი „ძმა". 16.00 — ახალი ამბები (რუსულ ენაზე). 16.10 — შევისწავლოთ გერმანული ენა (სტუდიაში — ნ. ცინცაძე). 16.40 — მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგების გამო: მულტიპლიკაციური ფილმი „მუკა — სწრაფმავალი". 17.00 — „მხიარული შეჯიბრება". 17.50— განცხადებები. 17.55 — „ჩვენს დიდ სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. „გაკვეთილი ციმბირის პროგრამით". 18.25 — ტელემაყურებელთა შეკითხვების პასუხები. 19.10 — არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული. „კვალი ნათელი" — კატო მიქელაძე. 19.25 — კამერული მუსიკალური თეატრი — იოჰან სებასტიან ბახი — კონცერტი რე-მინორი. 20.00 — „მოამბე". 20.35 — „ცეროდენას ეკრანი". 21.00 — „პოეზია". შემოქმედებითი პორტრეტი — რეზო ამაშუკელი. 21.45 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა". 21.55 — „ხვალ ტელეეკრანზე". 22.00 — „ვრემია". 22.35 — „პირველად ჩვენს ეკრანზე" — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ჩემი მეგობარი ძია ვანია" (კინოსტუდია „ქართული ფილმის" ნაწარმოები). 23.45 — ახალი ამბები. 00.05 — საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — საბჭოთა კავშირი—მეორე ტაიმი.

თეატრი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ტრუბადური; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — სამიდან ექვსამდე (დღისით და საღამოს).

საქართველოს რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი

აცხადებს, რომ წელს 7 აპრილიდან ყოველ შაბათობით 17 საათზე მოეწყობა კონსულტაციები დრამისა და კინოს მსახიობის, დრამის რეჟისორის, კინორეჟისორის (საოპერატორო განხრით), თეატრმცოდნეობის, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ორგანიზატორ-მეთოდისტის (დასწრებული და დაუსწრებელი) სპეციალობებზე.

რექტორატი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 68434 უე 07155 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20